საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზღვის კატა



ზღვის კატა (Dasyatis pastinaca), თევზი კუდჩხვლეტიასებრთა ოჯახისა. კუდის ზედა მხარეზე აქვს ერთი გრძელი ხანჯლისმაგვარი მჭრელი ნემსი. იზრდება 1 მ-მდე (იშვიათად 2,5 მ-მდე), მასა – 10 კგ, ზოგჯერ 20 კგ აღწევს. გავრცელებულია ატლანტის ოკეანეში, ჩრდილოეთის, ხმელთაშუა, შავ და აზოვის ზღვებში. გვხვდება შავი ზღვის საქართვ. სანაპირო ზონაში, ფსკერის თევზია; ცოცხლადმშობია, შობს 4–12 ლიფსიტას. იკვებება წვრილი თევზით და ფსკერის უხერხემლოებით. სითბოს მოყვარულია, 6–7°C-ზე იღუპება. მისი ღვიძლი შეიცავს 70% ცხიმს, რ-იც მდიდარია D ვიტამინით. იყენებენ აგრეთვე მის ტყავს. ამზადებენ თევზის ფქვილს ცხოველების საკვებად. სარეწაოდ მნიშვნელოვანი თევზია.

მ. დემეტრაშვილი